პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 172 (93ვა),
4 სექტემბერი,
ხუთშაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И „РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.



მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



## ბულგარეთი მიესალმება საუკეთესო მოჭადრაკეებს

**პირველ** სექტემბერს სოფიის ლუდმილა ჟივკოვას სახელობის სახალხო კულტურის ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩი. დილას ჩატარდა პრეს-კონფერენცია, რომელსაც წარმართავდა ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის წევრი, საერთაშორისო არბიტრი, დიდოსტატი ანდრეი მალჩევი. შეხვედრაზე მსოფლიო ჩემპიონი, პრეტენდენტი და ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი ესაუბრნენ ჟურნალისტებს, პასუხი გასცეს მათთვის საინტერესო კითხვებზე.

მატჩის საზეიმო გახსნაზე აჟღერდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ფიდე-ს ჰიმნები. სალამოს უძღვებოდა მატჩის ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარე ივან ფილიპოვი. მან დამსწრეთ წარუდგინა ფიდე-ს პრეზიდენტი, მატჩის მონაწილენი, მთავარი არბიტრი რუდოლფ მარიჩი და სხვები.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოგნიან დოინოვმა. იგი საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მიესალმა ჩიბურდანიძესა და ახმილოვსკაიას, მათ მწვრთნელებსა და სეკუნდანტებს, უსურვა სპორტული და შემოქმედებითი წარმატებები; აღნიშნა, რომ ეს დიდი მატჩი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ორი ხალხის დაახლოებას.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ვიქტორ ბატურინსკიმ დიდი მადლობა მოახსენა ბულგარელ ხალხს მოწვევისთვის, მასპინძლობის პირველი დღეებისთვის და აღნიშნა, რომ ეს მატჩი არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ჭადრაკის მსახურთ დააახლოებს, არამედ, პირველ ყოვლისა, ბულგარელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის კიდევ ერთი უტყუარი გამოხატულება გახდება.

ფლორენსიო კამპომანესმა აღნიშნა, რომ ეს მატჩი, ისევე როგორც კასპაროვ — კარპოვის ახლანდელი შეხვედრა, ისტორიულ მნიშვნელობას იძენს, რადგან პირველად დაირღვა ტრადიცია და მატჩი ორ ქვეყანაში ტარდება. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციას, რომ ამ ორთაბრძოლის მასპინძლობა ითავა და საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციას, რომელმაც მეგობარი ბულგარელი ხალხის მიწვევა მიიღო, — თქვა პრეზიდენტმა.

დამსწრეთ მიესალმა, აგრეთვე, ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ათანას პოპოვი.

შემდეგ მატჩის მთავარმა არბიტრმა, იუგოსლავიელმა საერთაშორისო არბიტრმა და საერთაშორისო ოსტატმა რუდოლფ მარიჩმა კენჭისყრა მოაწყო. თეთრი ფიგურები მსოფლიო ჩემპიონს ხვდა. ამრიგად, პირველ და ყველა კენტ პარტიას თეთრებით მაია ჩიბურდანიძე ითამაშებს.

შემდეგ გაიმართა საზეიმო კონცერტი.

## პირველი პარტია

**2 სექტემბერს** გაიმართა მატჩის პირველი პარტია. მაია ჩიბურდანიძემ კატალონიური დაცვა აირჩია. პოზიცია თანაბარი იყო, როცა პრეტენდენტმა გადაწყვიტა თამაში გაემწვავებინა და უპირატესობა ხელში ეგდო, მაგრამ მისი გადაწყვეტილება ნაჩქარევი გამოდგა. ჩემპიონი მეთოდურად დაეუფლა ინიციატივას, ხოლო მას შემდეგ, რაც ახმილოვსკაიამ პაიკი შესწირა, ჩიბურდანიძის პოზიცია უკვე აშკარად უკეთესი ჩანდა. ეს დადასტურდა მრავალი ფიგურის გაცვლის შემდეგ, როცა მეტოქეებს თითო კუ და პაიკები ხარჩათ. მაგრამ ჩიბურდანიძეს ერთი პაიკით მეტი ჰქონდა. უკვე უიმედო პოზიციაში პრეტენდენტმა მოსაფიქრებელ დროს გადააცილა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 1:0 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მომდევნო, მეორე პარტია დღეს უნდა გაიმართოს.

**კატალონიური დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. g3 კb4+ 4. კd2 კe7 5. მf3 d5 6. კg2 0—0 7. 0—0 c6 8. ლb3 b6 9. მc3 კb7 10. ეac1 მbd7 11. კf4 მh5 12. კe3 f5 13. cd ed 14. მe5 მ:e5 15. de მფh8 16. f4 g5 17. მფh1 ლe8 18. fg მg7 19. a4 ლd7 20. ეcd1 მe6 21. h4 მc5 22. ლc2 ლe6 23. კh3 კc8 24. კd4 მფg8 25. მფh2 ლg6 26. e3 h6 27. g4 მe4 28. gf კ:f5 29. ე:f5 ე:f5 30. კ:f5 ლ:f5 31. მ:e4 ლ:e4 32. ლ:e4 de 33. gh მფh7 34. მფh3 მფ:h6 35. ეf1 ეf8 36. ე:f8 კ:f8 37. მფg4 მფg6 38. h5+ მფf7 39. მფf5 e5 40. e6+. შავებმა დროს გადააცილეს.

## „ბრილიანტის პრიზი“ — ორივე მეტოქეს

**როგორც** მოსალოდნელი იყო, „ლონდონის მიკრომატჩში“ სპეციალისტებმა ულამაზეს პარტიად XI მიიჩნიეს. და აი, ჟიურიმ (დიდოსტატები ნაიჯელ შორტი, ენტონი მაილსი, მიურეი ჩანდლერი, ჯონათან სპილმენი, ჯონ მესტელი და საერთაშორისო ოსტატი უილიამ ჰარტსტონი) სპეციალური ჯილდო — „ბრილიანტის პრიზი“ — ორივე მეტოქეს მიაკუთვნა.

## მოზარდ მოკრივეთა ახალი წარმატება

„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭო ქართველ მოკრივეთა აღზრდის უპირველესი და ყველაზე თვალსაჩინო კერაა. თუ ბოლო წლებში საქართველოს მოკრივეებს რაიმე სერიოზული წარმატებისთვის მიუღწევიათ, ამას, პირველ ყოვლისა, ამ საზოგადოებას და მის მწვრთნელ-მასწავლებლებს უნდა ვუმადლოდეთ. მარტო ხდრიანის, ძმები კაზანჯიანების, ნიკა სეთურის, სხვათა და სხვათა სახელების დასახელება რად ღირს.

და აი, ამ დღეებში ახალ წარმატებას მიაღწიეს „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს აღზრდილებმა. ვილნიუსში გაიმართა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა ჭაბუკ მოკრივეთა შორის (1970-71 წ. წ. დაბადებულნი). შეჯიბრებაში 17 გუნდის 145 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. საქართველოს წარგზავნილებმა გუნდური III ადგილი დაიკავეს. წონითი კატეგორიების მიხედვით ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვეს ხვიჩა სეთურიძემ (52 კგ) და დიმიტრი ავდალიანმა (74), III ადგილებზე გავიდნენ მამუკა აბსანძე (44) და ავქსენტი ქაჩიბაია (54). უნდა აღინიშნოს, რომ ქაჩიბაია განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებულ სპორტსკოლაში ვარჯიშობს.

### ელვა-ინფორმაცია

**როგორც** ცნობილია, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩი ევანშმა ლონდონიდან ლენინგრადში გადმოინაცვლა. გუშინ ნევისპირა ქალაქში უნდა გამართულიყო მე-13 პარტია, მაგრამ კარპოვმა მეორე ტაიმ-აუტი აიღო. ეს პარტია რეგლამენტით 5 სექტემბერს უნდა გათამაშდეს.

### უმაღლესი ლიგა

**გუშინ** ალმა-ათაში შედგა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „ქაირათსა“ და კიევის „დინამოს“ შორის.

მატჩი დამთავრდა ალმაათელთა გამარჯვებით — 2:1.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი გიორგი ჩოჩიშვილი მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს:

## შეჯიბრებები განახლდა

**2 სექტემბერს მოსკოვში ბალახის ჰოკეისტთა მატჩებით დაიწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის საშემოდგომო ეტაპის შეჯიბრებები.**

ამ დღეს „დინამოს“ სტადიონზე პირველი წრის შეხვედრები გამართეს ჰოკეისტ ვაჟთა გუნდებმა. როგორც ცნობილია, წილისყრით საქართველოს ნაკრები ქვეჯგუფში რუსეთის ფედერაციის, ლენინგრადისა და ლიტვის გუნდებთან მოხვდა. ბალტიისპირელი ჰოკეისტები სპარტაკიადაზე არ გამოცხადდნენ, ასე რომ, ამ კვარტეტისთვის განკუთვნილ ფინალის ორ საგზურს სამი ნაკრები გაინაწილებს.

ჩვენს ქვეჯგუფში ფავორიტად რსფსრ-ს გუნდს ასახელებენ. იგი უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე სვერდლოვსკის არმიელთა წევრებითაა დაკომპლექტებული (სვერდლოვსკელები საკავშირო ჩემპიონატში ჯერჯერობით მეორე ადგილზე არიან). ფაქტიურად ერთი გუნდის — ლენინგრადის „ვოლნას“ ჰოკეისტები გამოდიან ნევისპირელთა შემადგენლობაშიც. მართალია, „ვოლნა“ პირველ ლიგაში გამოდის, მაგრამ უკვე შეიძლება უმაღლესი ლიგის ბინადრად ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ პირველობის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ლენინგრადელები უახლოეს მეტოქეს 12 ქულით უსწრებენ. ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებს მეტად ძლიერ მეტოქეებთან უწევს სპარტაკიადის ფინალური ტურნირის საგზურისთვის ბრძოლა.

ჩვენი გუნდის ძირითად ბირთვს, როგორც ცნობილია, ქუთაისის „ლოკომოტივის“ ჰოკეისტები შეადგენენ. ქუთაისელები საკავშირო პირველობაში არაერთხელ შეხვედრიან ლენინგრადელებს. ამჯერად ნაკრების დონეზე გამართულ მათ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა — გამარჯვებული ფაქტიურად ინაღდებდა ფინალის საგზურს. ამ მატჩის შედეგმა ყველა კითხვა უპასუხოდ დატოვა: მეტოქეებმა კარის აღება ვერ მოახერხეს და ეს შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა.

ახლა ორივე გუნდის ბედი რსფსრ-ს ნაკრებთან მატჩებში გაირკვევა. საქართველოს ჰოკეისტებს ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვთ: ისინი ბოლო შეხვედრას ლენინგრადელებზე ერთი დღით გვიან — 4 სექტემბერს გამართავენ.

პირველი წრის სხვა მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: უკრაინა–თურქმენეთი 13:0, სომხეთი–ბელორუსია 0:0, მოსკოვი–მოლდავეთი 17:0, ტაჯიკეთი–აზერბაიჯანი 2:1.



## საქართველოს სპორტსახკომში

**სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობიდან დაბრუნების შემდეგ სპორტსახკომის ხელმძღვანელობა შეხვდა მხატვრულ ტანვარჯიშსა და ბატუტზე ხტომაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრებს და მწვრთნელებს.**

**შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორივე სახეობის წარმომადგენლებმა სპარტაკიადაზე გამოავლინეს შესაძლებლობის მაქსიმუმი — მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებმა ნაცვლად დაგეგმილი 75 ქულისა 80 ქულა მოაგროვეს, ჯგუფურ ვარჯიშში კი ბრინჯაოს მედალი ხვდათ. ბატუტზე მხტომელებმა 170,5 ქულა დაიმსახურეს, დაგეგმილი კი 103 ქულა იყო. შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა რუსუდან ხოფერიამ, რომელმაც სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.**

**სპორტსმენებს და მწვრთნელებს მადლობა გადაუხადეს, გადასცეს საჩუქრები.**

**უფროსმა მწვრთნელებმა ნ. ხალაძემ (მხატვრული ტანვარჯიში) და თ. ხუდოევმა (ბატუტზე ხტომა) აღნიშნეს, რომ ნაკრები გუნდების წევრები თავს არ დაზოგავენ უფრო თვალსაჩინო წარმატებების მოსაპოვებლად.**

Советский спорт

### ციტატა

**გაზეთ** „სოვეტსკი სპორტის“ 2 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „არ დაალალატო გუნდი“, სადაც შეჯამებულია სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების შედეგები ბატუტზე ხტომაში. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ სახეობაში წარმატებით იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა **რუსუდან ხოფერიამ**. გთავაზობთ ციტატას ჟურნალისტ ვ. ჩაიკას ზემოხსენებული წერილიდან:

**„საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გაბრწყინებული ცელქი თვალებით იდგა კუპრივით შავთმიანი მინიატიურული გოგონა. მან საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა. 13 წლის ქართველი მოსწავლე რუსუდან ხოფერია გვიამბობს თავის შესახებ:**

**— ბატუტზე ხტომაში მეხუთე წელია ვვარჯიშობ. სპორტულ დარბაზში უფროსმა დამ მიმიყვანა. ია სპორტის ოსტატია აკრობატიკაში. სანამ ის ვარჯიშობდა, მეც ვხტუნაობდი, ვკოტრიალებდი, ვძვრებოდი ტანვარჯიშულ კედელზე. ერთხელ ჩემთან მწვრთნელი თენგიზ ხუდოევი მოვიდა — მითხრა, ხელყირა გააკეთეო. შემდეგ ბატუტზე ხტომის სექციაში მიმიწვია. ვფიქრობდი თუ არა, რომ პირველ ადგილს დავიკავებდი? არა! უბრალოდ გუნდის დალალატება არ მინდოდა. თანაც დედას დავპირდი, კარგად გამოვალ-მეთქი...“.**

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# მეზობელო კარისაო...

## ვანმა პირველად უმასპინძლა დიდ რეგბის

**ერთთვიანი შესვენების შემდეგ განახლდა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის „ა“ ფინალური ჯგუფის ტურნირი.**

30—31 აგვისტოს გაიმართა მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები. ქუთაისის „მშენებელი“ ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს — მონინოს (მოსკოვის ოლქი) ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს შეხვდა. ვინაიდან ჯერ კიდევ არ მოხერხდა უმაღლესი ლიგის გუნდისათვის შესაფერისი მოედნის გამონახვა, ეს მატჩები ვანში გაიმართა. მეზობელი რაიონის ხელმძღვანელებმა, მშრომელებმა საუცხოო პირობები შეუქმნეს რეგბისტებს. როგორც სტუმართა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. ანტონოვმა და საბჭოთა კავშირის ნაკრების წამყვანმა მოთამაშემ ი. მირონოვმა აღნიშნეს, ასეთ გაზონზე თამაში მათ საერთაშორისო შეხვედრებშიც არ უხდებათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ვანში პირველად ჩატარდა რეგბისტთა მატჩი და მან მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

პირველი მატჩი უაღრესად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ხშირი ტრავმების შემდეგ „მშენებლის“ რიგებში კვლავ გამოჩნდნენ წამყვანი მოთამაშეები. ამიტომაც იყო, რომ ქართველმა რეგბისტებმა ტოლი არ დაუდეს უაღრესად ძლიერ მეტოქეს, რომელმაც ათი დღის წინ საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა.

მატჩის პირველივე წუთებიდან ქუთაისელებმა მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს, ტრადიციულად ძლიერი იყო შერკინების ხაზი და სტუმრები ზედიზედ რამდენჯერმე დაჯარიმდნენ. გიორგაძემ (ორჯერ) და ხამაშურიძემ ზუსტად დაარტყეს საჯარიმო, მირონოვმა კი მხოლოდ 4 ქულით შეამცირა სხვაობა — 9:4. მეორე ტაიმში უკვე თასის მფლობელები აქტიურობდნენ და ნეჩაევმა და მირონოვმა 4 ქულით დააწინაურეს სსა. მატჩის ბოლო ათი წუთის განმავლობაში განუწყვეტლივ უტევდნენ მშენებლები. მე-80 წუთზე მათ კარგად გაითამაშეს მაჰაო და ხამაშურიძემ ანგარიში გაათანაბრა — 13:13.

განმეორებითი მატჩის პირველ ტაიმშიც ქუთაისელი რეგბისტები დაწინაურდნენ — 13:4, ლოლუაშვილმა ბურთი ჩასათვლელ მოედანზე დაამიწა, გიორგობიანმა რეალიზაციაც გამოიყენა, ხოლო გიორგაძემ არეკნით და საჯარიმო დარტყმებით 6 ქულა შესძინა გუნდს. მეორე ტაიმის დასაწყისში დაშავდნენ ხამაშურიძე და ლოლუაშვილი, რითაც კარგად ისარგებლეს გამოცდილმა სტუმრებმა და გაიმარჯვეს ანგარიშით 19:16.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(„ლელოს“ საკ. კორ.)**

# რატომ არ ელევათ რეგბისტებს სასაყვედურო?

**თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი.**

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) 10:12 (7:0); 9:0 (6:0).**

ამა თუ იმ გუნდის ჭეშმარიტი შესაძლებლობები ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში ვლინდება. ლენინგრადის „პრიმორეცი“ სწორედ ამგვარი „საცილდაო ქვა“ გახლდათ „ლოკომოტივისათვის“, რომელმაც ოთხი უკანასკნელი მატჩის მოგებით ქომაგებს დაკარგული ტრადიციების აღდგენაზე ლაპარაკის საღერღელი აუშალა. სტუმრად გამართული მატჩების მხილველნი ქებას არ იშურებდნენ განახლებული გუნდის მისამართით, მაგრამ... ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რეგბის 25-კაციან გუნდის წინასამატჩო შეკრების ჩასატარებლად ვაკის მძლეოსნური მანეჟის საცხოვრებელში მხოლოდ 15 ადგილი გამოუყვეს; სასადილოს კარიც, შეპირების მიუხედავად, დაკეტილი დაუხვდათ რკინიგზელებს, მთავარი განსაცდელი კი წინ ელოდათ: „ლოკომოტივის“ სტადიონზე რეგბისტთა მატჩამდე ორსაათნახევრით ადრე თბილისის „იმედისა“ და თელავის „კახეთის“ ფეხბურთელთა მატჩი დაიწყო და ცხადია, გასახდელები ფეხბურთელებმა დაიკავეს. ეს თამაში რეგბისტთა მატჩის დაწყებამდე 30 წუთით ადრე დამთავრდა. ამიტომ თბილისელ რეგბისტებს უსკამო გარდერობში მოუხდათ ტანსაცმლის გამოცვლა. მწვრთნელებმა შემადგენლობის გამოცხადება ძლივს მოასწრეს, რომ გუნდი სასწრაფოდ მოედანზე გავიდა — ვიღას ეცალა თამაშის გეგმის დასახვისა და გუნდის ფსიქოლოგიურად განწყობისთვის!

დაიწყო მატჩი და ყველასთვის ნათელი გახდა, თუ რა ძალის მეტოქესთან გვქონდა საქმე. მორკინალთა მძლავრი ბიძგი, რომელიც ჩვენებს ერთთავად უკან ახევინებდა, მესამე ხაზის ძალზე აგრესიული თამაში შერკინებისა თუ მოლის გათამაშების შემდეგ, სამმეოთხედელთა შთამბეჭდავი და მეტად სახიფათო იერიშები, მცველის მოულოდნელი და შედეგიანი ჩართვა შეტევაში, გამოზომილი და შორი დარტყმები ფეხით, დაბოლოს „პრიმორეცის“ მორკინალთა გაწაფულობა საცილო ბურთის დაუფლებაში — ყველაფერი ლენინგრადელთა უპირატესობასა და უფრო მაღალ კლასზე მეტყველებდა. და თუ დიდხანს მაინც თბილისელები იყვნენ წინ, ეს მთლიანად მათი შეუპოვრობის შედეგი იყო, თუმცა ეტყობა, გუნდის წევრები ქვეცნობიერად გრძნობდნენ, რომ წარმატება დროებითი იყო, და ძალზე ფრთხილად თამაშობდნენ — მონაპოვრის დაკარგვისა ეშინოდათ. ბოლოს „პრიმორეცის“ მოთამაშეთა ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა: ლენინგრადელებმა საგრძნობლად უმატეს ტემპს მეორე ტაიმში, ჩვენებს შეცდომები დააშვებინეს და დაწინაურდნენ. მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს თბილისელებმა რამდენიმე შეტევის წამოწყება, მაგრამ ისინი წარმატებით ვერ დააგვირგვინეს, რადგან „ლოკომოტივის“ სათამაშო მექანიზმი ერთიანად მოშლილიყო და ეს იერიშებიც განწირულის უკანასკნელ გაბრძოლებას ჰგავდა.

**ასე და ამრიგად, სეზონის უმთავრესი მატჩისათვის გუნდი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა, უფრო სწორად, „აიძულეს“ მოუმზადებელი აღმოჩენილიყო. საინტერესოა, რას გვიპასუხებენ ამაზე „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოსა და სტადიონის ხელმძღვანელები?**

გუნდი საფუძვლიანად მოემზადა მეორე თამაშისთვის და გადახალისებულმა შემადგენლობამ ერთიანი სულისკვეთებით ჩაატარა მატჩი: აღარც შერკინების პირველი ხაზი შემდრკალა და არც შერკინების ნახევარმცველი „შეუტოვებიათ“ მარტოდმარტო მორკინალებს მომხდური მეტოქეებისათვის. ძალზე აქტიურობდა მესამე ხაზი; გაბრიჩიძემ ყოველმხრივ აჯობა მეტოქეს, სამმეოთხედელები თავსაც კარგად იცავდნენ და თავადაც სახიფათოდ უტევდნენ; მცველმა ჭეიშვილმა შეტევებშიც მიიღო მონაწილეობა და რამდენჯერმე აშკარა ხიფათსაც გადაარჩინა გუნდი. „პრიმორეცს“ წინა მატჩზე უარესად არ უთამაშია, მაგრამ საკუთარი სახის მაძიებელ და უკვე საკმაოდ გათამამებულ გუნდს ახალი ვერაფერი დაუპირისპირა და დამარცხდა.

**ზაალ გიგინეიშვილი.**

* * *

**თბილისი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი.**

**„შევარდენი“ (თბილისი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 9:4 (9:0); 19:7 (12:4).**

**ზედიზედ ორ მატჩში ნებისმიერი გუნდის დამარცხება ძალზე ძნელია. თბილისის „შევარდენმა“ ეს დიდი მონდომებისა და აქტიური, კოლექტიური თამაშის წყალობით შეძლო.**

ორსერიანი შეხვედრის პირველ მატჩში მასპინძლებმა საქმე, ფაქტიურად, პირველ ტაიმში მოათავეს. ანგარიში საჯარიმო დარტყმით გახსნა გია კურატიშვილმა, შემდეგ ტარიელ სოკუროვმა შეაღწია მეტოქეთა ჩათვლის მოედანზე, რეალიზაციის უფლება ზუსტად გამოიყენა ვანო საცერაძემ და ტაიმი თბილისელებმა „მშრალი“ ანგარიშით მოიგეს — 9:0.

მეორე ტაიმში მოსკოველები გააქტიურდნენ. მათი ერთ-ერთი შეტევის დროს სერგეი სადოვსკიმ თითქმის მოედნის ცენტრიდან წამოწყებული სწრაფი იერიში მასპინძელთა „ქალაქის აღებით“ დაასრულა — 9:4. ეს იყო და ეს — მატჩის ანგარიში აღარ შეცვლილა.

ამ შეხვედრაში განსაკუთრებით კარგად ითამაშეს თბილისელთა თავდამსხმელებმა. ეს ერთგვარი სიურპრიზი იყო მოსკოველებისათვის, ვინაიდან „შევარდენი“ არ გამოირჩევა ძლიერი შერკინების ხაზით. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან მატჩში თბილისელებმა ყურადღება სწორედ თავდამსხმელთა თამაშზე გაამახვილეს, ხშირად მიმართავდნენ მოკლე და ზუსტ გადაცემებს. თუმცა, კარგი იქნებოდა „შევარდენს“ გრძელი გადაცემებიც გამოეყენებინა და მარაოც ხშირად გაეშალა, რაც უფრო მრავალფეროვანს გახდიდა მის შეტევებს.

მეორე შეხვედრა უფრო დაძაბული გამოდგა. ამ დღეს თავი გამოიჩინა ვანო საცერაძემ, რომელმაც საჯარიმო დარტყმებით 12 ქულა შესძინა თავის გუნდს (ერთ ჯარიმა კარგად გამოიყენა მიხეილ გარუჩავამ, ერთხელ კი ბიძინა გეგიძემ დაამიწა ბურთი მოსკოველთა ჩათვლის მოედანზე).

თბილისელებს ამ მატჩშიც „გაეპარათ“ ჩათვლის მოედანზე მეტოქეთა თავდამსხმელი (ამჯერად ანდრეი ხრაპკოვი), რომელმაც ბურთით საკმაოდ დიდი მანძილი გაირბინა. არადა, „შევარდენის“ მოთამაშეებს დროულად, იერიშის დასაწყისშივე რომ ეზრუნათ მის შეჩერებაზე, ეს არ მოხდებოდა. იმედია, თბილისელი რეგბისტები გაითვალისწინებენ ამ შენიშვნას. სხვა მხრივ მათ ხასაყვედურო არაფერი ჰქონდათ — ყველაფერში აჯობეს მოსკოველ სტუდენტებს, მეტად საჭირო 6 ქულა მოიპოვეს და კვლავ განაგრძობენ ბრძოლას უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად.

**ამ რამდენიმე ხნის წინათ, „შევარდენისა“ და ლენინგრადის „პრიმორეცის“ შეხვედრის დროს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე მოხდა ინციდენტი, რომლის შესახებ „ლელოშიც“ დაიწერა. სათანადო ორგანიზაციებმა გვაცნობეს, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად და სტადიონზე წესრიგის დასამყარებლად კონკრეტული ღონისძიებები დასახეს. სამწუხაროდ, სახიკეთო ძვრები იგვიანებს. მაშ რით აიხსნება ის ამბავი, რომ ორივე მატჩზე არც სამედიცინო პერსონალი გვინახავს და არც წესრიგის დამცველებისთვის მოგვიკრავს თვალი.**

**გაბრიელ ბარჯაძე.**



თბილისის „ლოკომოტივისა“ და ლენინგრადის „პრიმორეცის“ შეხვედრის ეპიზოდი.

# წლეულს მესამედ

**8 სექტემბერს მუშაობას განაახლებს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი, რომელიც წლეულს მესამედ მიიღებს მსმენელებს.**

განვლილ პერიოდში დასახელებულ ფაკულტეტზე 786 სპეციალისტმა აიმაღლა კვალიფიკაცია, მათ შორის იყვნენ სპორტული სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები, მეთოდისტები, სპორტულ ნაგებობათა ხელმძღვანელი მუშაკები, სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელები.

საქართველოს სპორტსახკომისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გრაფიკის შესაბამისად მსმენელთა შემადგენლობა ყოველთვიურად იცვლება, ეწყობა ჩათვლები, გამოცდები, რეფერატების დაცვა, კურსდამთავრებულს ეძლევა სპეციალური მოწმობა, რომელიც ძალაშია 5 წლის განმავლობაში.

ამ დღეებში საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის სხდომამ შეაჯამა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის მიერ 1985-86 წლებში გაწეული მუშაობა. წარმატებებთან ერთად სხდომაზე საუბარი იყო ფაკულტეტის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. უნდა გაუმჯობესდეს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხი, შესავსებია მეთოდური კაბინეტის სასწავლო კინოთეკა, მეთოდური ლიტერატურა და თვალსაჩინო მასალები. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან უფრო ხშირად უნდა მოიწვიონ ცნობილი მეცნიერები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ფაკულტეტის მუშაობაში აქტიურად უნდა ჩაებან რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მწვრთნელები.

როგორც ირკვევა, ზოგიერთი სპორტული საზოგადოებისა და უწყების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ფაკულტეტზე თავიანთ თანამშრომელთა მივლინებას, ირღვევა გრაფიკი, ხშირია მეცადინეობებზე გამოუცხადებლობის, გაცდენის, დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ორი სასწავლო წლის მანძილზე ამ მიზეზით ფაკულტეტიდან 54 მსმენელი გაირიცხა. დამაფიქრებელია, რომ გარიცხულთა შორის არიან სპორტული სკოლების დირექტორები, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ახალი სასწავლო წლისთვის ხარვეზები გათვალისწინებული იქნება.

ქვემოთ გთავაზობთ ფაკულტეტის სამუშაო განრიგს 1986-87 სასწავლო წლისთვის. აი, რა თანმიმდევრობით გაივლიან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, მწვრთნელ-სპეციალისტები:

8 სექტემბერი — 6 ოქტომბერი, 1986 წელი. კალათბურთისა და ჭადრაკის მწვრთნელები;

10 ოქტომბერი — 7 ნოემბერი, 1986. მძლეოსნობისა და ფრენბურთის მწვრთნელები.

12 ნოემბერი — 9 დეკემბერი 1986. საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტები, ძიუდოს მწვრთნელები;

15 დეკემბერი, 1986 — 14 იანვარი, 1987. ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობისა და მძლეოსნობის მწვრთნელები;

19 იანვარი — 14 თებერვალი, 1987. სროლის ყველა სახეობის და სამბოს მწვრთნელები, სასოფლო სპორტულ საზოგადოებათა მეთოდისტები;

18 თებერვალი — 17 მარტი, 1987. სპორტული სკოლების დირექტორები, კლასიკური ჭიდაობის მწვრთნელები, სპორტული სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეები.

23 მარტი — 18 აპრილი, 1987. ნიჩბოსნობის ორივე სახეობისა და ხელბურთის მწვრთნელები.

22 აპრილი — 21 მაისი, 1987. კრივისა და მძლეოსნობის მწვრთნელები.

# ბლიც-კონკურსის შედეგები შეჯამდა

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ჩვენს გაზეთში გამოცხადდა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ბლიც-კონკურსი ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას მატჩთან დაკავშირებით.

შვიდ საკონკურსო შეკითხვაზე კონკურსში მონაწილეობის მსურველებს პასუხები უნდა გამოეგზავნათ 27 აგვისტოს ჩათვლით (საფოსტო შტემპელით) რედაქციის მისამართით.

გუშინ საგანგებო ჟიურიმ შეაჯამა შედეგები და გამარჯვება მიაკუთვნა ზესტაფონის საჭადრაკო-საშაშო კლუბის დირექტორს ჯემალ მახათაძეს.

თანახმად კონკურსის პირობებისა, მას გადაეცემა სპორტსახკომის პრიზი—უფასო საგზური ბულგარეთში ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას მატჩზე გასამგზავრებლად.

აღსანიშნავია, რომ ჯ. მახათაძე კონკურსის ერთადერთი მონაწილეა, რომელმაც უშეცდომოდ გასცა პასუხები შვიდივე კითხვას.

II-IV ადგილები წილად ხვდათ და ბულგარეთში მსოფლიო პირველობაზე გასამგზავრებელი საგზურის ნაღდ ანგარიშზე შეძენის უფლება მოიპოვეს იოსებ ბაჩაკაშვილმა (თბილისი, თერმული წყლების სამმართველოს მუშაკი), ნოდარ ბერაძემ (წყალტუბოს მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი) და პაატა ხერხეულიძემ (თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ასისტენტი).

სხვათა შორის, კონკურსის მონაწილეებმა, გარდა მახათაძისა, ზუსტი პასუხი ვერ გასცეს მე-5 შეკითხვაზე, რომელიც ითვალისწინებდა კონკურსის პირობებით გაზეთში დაბეჭდილი ფოტოსურათის ამოცნობას. სურათზე აღბეჭდილია 1983 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებში ბულგარელი კირილ გიორგიევი. პასუხებში კი უმრავლესობა წერს, რომ ფოტოზე აღბეჭდილია ნონა გაფრინდაშვილი, ტატიანა ლემაჩკო, რობერტ ფიშერი, კოტე კაიშაური, ახმილოვსკაიას მეუღლე ვლადიმერ პეტუხოვი და ა. შ.

მაშ ასე, კონკურსის შედეგები შეჯამდა. გამარჯვებულებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაკითხონ საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ჭადრაკის განყოფილებას (მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი, 49-ა. ტელეფონი: 23-55-84).

# კონკურსის პასუხები

1. 1973 წელს, ქალაქ კიშინიოვში, სსრ კავშირის მოსწავლეთა მე-15 პირველობაში, გაიმარჯვა მ. ჩიბურდანიძემ.

2. მ. ჩიბურდანიძის პირველი ოფიციალური მწვრთნელი იყო ამჟამად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით ჩირაძე.

ელენა ახმილოვსკაიას პირველი მწვრთნელი იყო დედამისი — ლიდია ნიკოლოზის ასული, იგი პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე გახლდათ, იყო კრასნოიარსკის მხარის ჩემპიონი, სპეციალობით ინჟინერი. გარდაიცვალა 1982 წელს.

3. მაია ჩიბურდანიძე — 1978 (ბუენოს-აირესი), 1980 (ლა-ვალეტა), 1982 (ლუცერნი), 1984 (სალონიკი).

ელენა ახმილოვსკაია — 1978 წელი.

4. 1939 წელს ბუენოს-აირესში, VIII საჭადრაკო ოლიმპიადაზე ბულგარეთის ვაჟთა ნაკრებმა XX ადგილი დაიკავა, ხოლო ქალთა ნაკრები 1957 წელს ემენში, I ოლიმპიადაზე, V ადგილზე გავიდა.

5. 1983 წელს, XXII მსოფლიო ჩემპიონატში ოც წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის ჩემპიონი გახდა 17 წლის ბულგარელი კირილ გეორგიევი. მან 13 შესაძლებლიდან 11,5 ქულა მოაგროვა. სწორედ ის არის სურათზე გამოსახული.

6. რ. თავარიანი (თბილისი). იბეჭდება პირველად



7. დაბეჭდილი ნაწარმოები წარმოადგენს საკომპოზიციო სავარჯიშოთა კომპლექსს (სულ 24 სავარჯიშო), რომელიც სპეციალურად ამ კონკურსისათვის შეადგინა რ. თავარიანმა.

ამოხსნა.

**შამათი 2 სვლაში**

I. 1. a8ლ II. 1. ეf1+ III. 1. ლe5+ (შეიძლება, აგრეთვე, 1. ლf4, 1. ლg3, 1. ეg5+), IV. 1. ლf3+ (1. e4), V. 1. ეf5+ (1. მფg3), VI. 1. ეg1+ VII. 1. ლe1+ (1. ლf4, 1. ლe4), VIII. 1. ლc5+ (1. ლg4+), IX. 1. კe7 X. 1. ლf7+ (1. ლg8+), XI. 1. ეg5+ XII. 1. ეg5+ XIII. 1. ლf5+ XIV. 1. ეg5+ XV. 1. ლf5 (1. ეc5+).

**შამათი 3 სვლაში**

I. 1. ეg1+ 2. ლf4+ (2. ლe5+), II. 1. ლf4 2. ეg1+ (1. ეg1+ 2. ლe5+), III. 1. ეc5+ 2. ე:f5+ (1. ლe5+ 2. ლ:f5+), IV. 1. ეc1+ 2. ეf2 V. 1. ლe1+ 2. ლ:f4+ (1. ეc1+ 2. ეf2), VI. 1. კg3 2. ეf5+ VII. 1. ეc1+ 2. ე1:f1+.

**შამათი 4 სვლაში**

I. 1. e8ლ de 2. ლb4 d2 3. ლe3 II. 1. ეg1+ მფ:e2 2. e8ლ+ მფ:f2 3. ლe1+.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 25-ე ტურის შეხვედრები.

### I ლიგა

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

„იმედი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 2:0. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: მიქელაშვილი-2 („იმედი“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ივერია“ (ხაშური) 3:4. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ჯიოევი, ხუბეჯიშვილი-2 („სპარტაკი“), ხარაზიშვილი, ნოზაძე, ოსაძე-2 („ივერია“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: სოლოღაშვილი, ზუკაკიშვილი („არმაზი“), ტალახაძე („დურუჯი“).

მსაჯთან შეკამათებისთვის გააფრთხილეს ყვარლელი ფეხბურთელი ს. მალიხინი.

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

განზრახ დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს თ. კუნჭიაშვილი, ხოლო მსაჯთან შეკამათებისთვის — გ. დარჩიაშვილი (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**დასავლეთი ჯგუფი**

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 3:0. მსაჯი შ. თომაშვილი (თბილისი). გოლები: რუხაძე, ფანჩულიძე, ჩინჩალაძე („საპოვნელა“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს წყალტუბოელი გ. გორგოძე.

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლი: ქვილითაია („სამეგრელო“).

„სქური“ (წალენჯიხა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: შეროზია („სქური“), ჩოგოვაძე („მერცხალი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მახარაძელი ვ. ჩხაიძე და წალენჯიხელი დ. ჩალიგავა.

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:2. მსაჯი შ. თომაშვილი (თბილისი). გოლები: ალანია, გაბესკირია („ეგრისი“).

! წინა ტურის საანგარიშო წერილში ჩვენ ვიტყობინებოდით „ეგრისის“ ფეხბურთელთა ყოვლად უმსგავს საქციელზე და მივუთითებდით, რომ რაიონის სპორტულმა ხელმძღვანელებმა სათანადო ზომებს უნდა მიმართონ გუნდში წესრიგის დასამყარებლად. მაგრამ, ეტყობა, ჯერჯერობით ეს არ ხერხდება; ჩოხატაურის „ბახმაროსთან“ მატჩში ცხაკაიელმა ფეხბურთელებმა კვლავ დაარღვიეს წესრიგი, გაფრთხილება მიიღეს ბ. კუტალაძემ და გ. თათარაშვილმა. ცხადია, უდისციპლინო ცხაკაიელ ფეხბურთელთა მიმართ კვლავ და კვლავ საჭიროა მკაცრი სანქციების მიღება.

„დინამო“ (გაგრა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: სემიონოვი („დინამო“), ბჟანია, მიქია („ამირანი“).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლი: ბ. ხვიტია („დინამო“).

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა:** „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:0, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:3, „სიონი“ (დმანისი) — „იმედი“ (რუსთავი) 1:3.

**ცენტრალური ზონა:** „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:1, „ლიახვი“ (ცხინვალი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 1:1, „ხვამლი“ (ცაგერი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 2:1, „აბული“ (ახალქალაქი) — „სქური“ (ბორჯომი) 5:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „იბერია“ (ქარელის რ-ნი) 2:1.

**დასავლეთი ზონა:** „კოლხეთი“ (ხობი) — „კოლმეურნე“ (გაგრა) 3:1, „დევაბზუ“ (მახარაძე) — „ნარინჯი“ (გონიო) 2:0, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 1:0, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 3:4.

**გათამაშების ცხრილები**

მდგომარეობა 3 სექტემბრისთვის

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შევარ.“-სპი | 23 | 17 | 3 | 3 | 56-23 | 37 |
| „მეტალ.“ | 23 | 15 | 3 | 5 | 37-24 | 33 |
| „მადნეული“ | 23 | 13 | 2 | 8 | 50-32 | 28 |
| „არმაზი“ | 23 | 10 | 6 | 7 | 37-31 | 26 |
| ფიზკ. ინსტ. | 24 | 10 | 5 | 9 | 32-29 | 25 |
| „იმედი“ | 23 | 8 | 8 | 7 | 18-25 | 24 |
| „ივერია“ | 23 | 10 | 3 | 10 | 23-27 | 23 |
| „კახეთი“ | 23 | 10 | 3 | 10 | 18-34 | 23 |
| „ქართლი“ | 23 | 9 | 5 | 9 | 17-25 | 23 |
| „სპარტაკი“ | 23 | 9 | 2 | 12 | 25-35 | 20 |
| „დურუჯი“ | 23 | 8 | 4 | 11 | 16-31 | 20 |

**დასავლეთი ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო“ | 23 | 13 | 3 | 7 | 34-19 | 29 |
| „დინამო“ ზ. | 24 | 13 | 1 | 10 | 55-34 | 27 |
| „სალხინო“ | 23 | 11 | 4 | 8 | 36-30 | 26 |
| „ეგრისი“ | 23 | 10 | 6 | 7 | 34-39 | 26 |
| „სულორი“ | 23 | 11 | 3 | 9 | 37-27 | 25 |
| „ამირანი“ | 23 | 11 | 3 | 9 | 27-33 | 25 |
| „დინამო“ გ. | 23 | 10 | 5 | 8 | 41-35 | 25 |
| „საპოვნელა“ | 23 | 11 | 2 | 10 | 36-34 | 24 |
| „შადრევანი“ | 23 | 9 | 6 | 8 | 42-42 | 24 |
| „მერცხალი“ | 23 | 10 | 3 | 10 | 33-23 | 23 |
| „სქური“ | 23 | 10 | 3 | 10 | 34-41 | 23 |
| „იმერეთი“ | 23 | 4 | 4 | 15 | 16-35 | 12 |
| „ბახმარო“ | 23 | 5 | 1 | 17 | 16-50 | 11 |

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

30 და 31 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის 1986 წლის ფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩები. გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს:

„დინამო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:0 (1:0). მოსკოველთაგან ბურთები გაიტანეს ბოროდიუკმა და დობროვოლსკიმ.

გააფრთხილეს ოდესელი ფეხბურთელი ნაკონეჩნი.

დუბლიორები — 2:3.

„შახტიორი“ — „მეტალისტი“ 2:0 (0:0). გოლები: პეტროვი, სმოლიანინოვი („შახტიორი“).

გააფრთხილეს დონეცკელი სობკო და ხარკოველი ლოზინსკი.

დუბლიორები — 3:2.

„ზენიტი“ — „ჟალგირისი“ 2:1 (2:0). გოლები: კლემენტიევი, დმიტრიევი, („ზენიტი“), პანკრატიევი („ჟალგირისი“).

გააფრთხილეს ვილნიუსელი პანკრატიევი.

დუბლიორები — 2:1.

„დინამო“ (მინსკი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 2:1 (1:1). გოლები: ალეინიკოვი, სოკოლი („დინამო“), ფეხლევანიდი („ქაირათი“).

გააფრთხილეს მინსკელი კისტენი და ალმაათელი ნიკიტენკო.

დუბლიორები — 4:0.

„სპარტაკი“ — „დნეპრი“ 1:1 (0:1). გოლები: გავრილოვი („დნეპრი“), როდიონოვი („სპარტაკი“).

დუბლიორები — 2:0.

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:0.

გააფრთხილეს ტორპედოელი ფეხბურთელები ი. სავიჩევი და გოსტენინი.

დუბლიორები — 0:0.

● **სსრ კავშირის** 1986 წლის ჩემპიონატის მატჩებს დღემდე სულ დაესწრო 3 მილიონ, 585.130 მაყურებელი, ე. ი. ყოველ მატჩს საშუალოდ ესწრებოდა 21.089 მაყურებელი.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის დაწინაურდა მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი ს. როდიონოვი, რომელმაც 12 ბურთი გაიტანა. მეორე ადგილზეა ბაქოელი მ. აჰმედოვი — 11 გოლი.

● **ბაქოს** „ნეფთჩის“ შემდეგ ფრეთა ლიმიტი (10) ამოწურა მოსკოვის „ტორპედომაც“.

**გათამაშების ცხრილი დუბლიორთა შემადგენლობანი**

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 22 | 16 | 3 | 3 | 56-24 | 35 |
| „სპარტაკი“ | 22 | 15 | 4 | 3 | 58-22 | 34 |
| „შახტიორი“ | 21 | 10 | 7 | 4 | 33-23 | 27 |
| „ზენიტი“ | 21 | 9 | 6 | 6 | 36-28 | 24 |
| „ჩერნომორ.“ | 22 | 9 | 6 | 7 | 34-30 | 24 |
| „დინ.“ თბ. | 22 | 9 | 5 | 8 | 34-30 | 23 |
| „დინ.“ მნ. | 21 | 6 | 10 | 5 | 23-22 | 22 |
| „დინამო“ მ. | 20 | 8 | 5 | 7 | 28-22 | 21 |
| „არარატი“ | 22 | 8 | 5 | 9 | 25-25 | 21 |
| „მეტალის.“ | 21 | 6 | 9 | 6 | 22-21 | 21 |
| „ჟალგირისი“ | 22 | 7 | 5 | 10 | 25-28 | 19 |
| „დინამო“ კ. | 16 | 6 | 6 | 4 | 23-20 | 18 |
| „ტორპ.“ მ. | 22 | 5 | 7 | 10 | 19-31 | 17 |
| „ტორპ.“ ქ. | 22 | 4 | 4 | 14 | 17-44 | 12 |
| „ქაირათი“ | 21 | 3 | 5 | 13 | 13-43 | 11 |
| „ნეფთჩი“ | 22 | 3 | 5 | 14 | 16-49 | 11 |

**შენიშვნა:** ცხრილში შეტანილი არაა ალმა-ათის „ქაირათისა“ და კიევის „დინამოს“ დუბლიორთა შეხვედრის შედეგი.

## პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# იუსუპოვმა მოგებით დაიწყო

როგორც გაუწყეთ, რიგაში დაფებს მიუსხდნენ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი, მოსკოველები არტურ იუსუპოვი და ანდრია სოკოლოვი. ის, ვინც დადგენილ 16 პარტიაში გაიმარჯვებს, 1987 წლის თებერვალში, მომავალი ციკლის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში შეხვდება კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანშში დამარცხებულს.

ლატვიის დედაქალაქში მოჭადრაკეებმა პირველ პარტიაში საკმაოდ იშვიათი ვარიანტი აირჩიეს — ფრანგული დაცვა. ბრძოლა მანევრულ ხასიათს ატარებდა და დამთავრდა იუსუპოვის გამარჯვებით, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა.

**წერილი არ დაბეჭდილა...**

# ფეხბურთის მოედანი არ გაუქმდება

ამას წინათ საჩხერის რაიონის სოფელ სარეკის მოსახლეობისგან წერილი მივიღეთ. გვწერდნენ, კოლმეურნეობას სოფლის ფეხბურთის მინდვრის გადახვნა აქვს განზრახული და დაგვეხმარეთო. ვითარების გასარკვევად ეს წერილი გადავუგზავნეთ საჩხერის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, რომლის თავმჯდომარე თ. ლაშხისაგან ამ დღეებში მივიღეთ პასუხი. იგი გვწერს: „რედაქციაში შემოსული წერილი გავაცანით სარეკის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ი. ხვედელიძეს, რომელიც დაგვპირდა, რომ სოფლის ფეხბურთის მოედანი არამც და არამც არ გადაიხვნება“.

ამასთან ერთად თ. ლაშხმა გამოგვიგზავნა სარეკის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათიც;

„ლელოს“ რედაქციაში შემოსული წერილის ავტორები ცდებიან, — წერს თავმჯდომარე. — წინათ სოფლის ახალგაზრდები ეკლესიის მახლობლად პატარა მოედანზე თამაშობდნენ. შემდეგ ის მოედანი, როგორც უვარგისი, გავაუქმეთ და მოშორებით ახალი სრულყოფილი სარბიელი მოვაწყვეთ. მას შემდეგ ხუთ წელზე მეტი გავიდა. სოფლის ახალგაზრდობა ახლაც იქ თამაშობს. ახლა სოფელში აშენდა სკოლა, რომლისთვისაც ეწყობა ფეხბურთისა და სხვა სპორტული მოედნები, როგორც ჩანს, სოფლის ახალგაზრდობა ამ ამბავმა შეაშფოთა. ალბათ ჰგონიათ, რომ ამის გამო ძველი ფეხბურთის მინდორი გაუქმდება, რაც სწორი არ არის. მინდა სოფლის ახალგაზრდობის გასაგონად ვთქვა, რომ ძველ ფეხბურთის მინდორს არ გავაუქმებთ და კარის ძელებსაც შევაკეთებთ.

**მოკლედ**

**ტყვიაველთა გამარჯვება**

**გორის** რაიონის პირველობაზე ფეხბურთში „ოქროს თავთავის“ პრიზზე მონაწილეობა მიიღო 30 გუნდმა.

ფინალში გავიდნენ ტყვიავისა და დიცის გუნდები. საინტერესო თამაში დამთავრდა ტყვიაველთა გამარჯვებით — 3:1, რომლებსაც გადაეცათ გარდამავალი თასი.

**ზაურ კეპაშვილი.**

## საბჭოთა სპორტსმენები მსოფლიო ასპარეზობებზე

# მედლები ცალკეულ იარაღებზე

**დამთავრდა მსოფლიოს თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ვაჟთა შორის ლიდერებად რჩებიან სსრ კავშირისა და ჩინეთის სპორტსმენები, ქალებში — სსრ კავშირისა და რუმინეთის წარმომადგენლები.**

**პეკინი.** ბოლო დღეს პირველობა ცალკეულ იარაღებზე გათამაშდა. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს სერიოზული მეტოქეობა ამჯერადაც ვერავინ გაუწია. ვაჟთა შორის მედლები ქვეყნებს შორის ასე განაწილდა:

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 2 | 1 | 8 |
| ჩინეთი | 3 | — | 3 | 6 |
| გდრ | 1 | 1 | 1 | 3 |
| იტალია | — | — | 1 | 1 |

შენიშვნა: რგოლებზე, ორძელსა და ხტომებში პირველი ადგილი ორ-ორ სპორტსმენს ერთად მიენიჭა.

ქალთა შორის მედლები საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ტანმოვარჯიშეებმა გაინაწილეს:

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 2 | 3 | 9 |
| რუმინეთი | — | 2 | 1 | 3 |

მსოფლიო თასი ცალკეულ იარაღებზე დაისაკუთრეს: ვაჟებში ი. კოროლიოვმა (რგოლები, ხტომები, ღერძი), ვ. მოგილნიმ (რგოლები, ორძელი), ჩინელმა ლი ნინმა (თავისუფალი ვარჯიში, ტაიჭი), გდრ-ის წარმომადგენელმა ს. კროლმა (ხტომები), ჩინელმა სიუი ჩჟუციანმა (ორძელი); ქალებში — ე. შუშუნოვამ (თავისუფალი ვარჯიში, ხტომები, ორძელი) და ო. ომელიანჩიკმა (დვირი).

# პირველი შეხვედრები

**პრაღა.** ფრენბურთელ ქალთა მეათე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი ოთხ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ ჯგუფში (თამაშები ტარდება ქილინაში) გამოდიან: ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, კანადა და სამხრეთ კორეა; მეორეში (პლზენი) — ჩინეთი, გდრ, სსრ კავშირი და ტუნისი, მესამეში (ბრნო) — კუბა, ბრაზილია, გფრ, პერუ; მეოთხეში (ოლომოუცი) — იაპონია, კსდრ, იტალია, აშშ.

ჯგუფებში პირველ სამ ადგილზე გასული კოლექტივები ნახევარფინალურ ჯგუფებს შექმნიან და 7-9 სექტემბერს ბრძოლას ხელახლა დაიწყებენ, ხოლო 12-13 სექტემბერს პრაღაში ფინალისტთა ოთხეული საპრიზო ადგილებისთვის იასპარეზებს.

გაიმართა ჯგუფური ტურნირების პირველი შეხვედრები, მსოფლიოს ჩემპიონმა ჩინეთის ნაკრებმა გდრ-ის ფრენბურთელები დაამარცხა — 3:1. სსრ კავშირის გუნდმა იოლად აჯობა ტუნისის კოლექტივს — 3:0.

# საგანგებო შემთხვევა ნახევარფინალში

**კოლორადო-სპრინგსი.** ასეთი მარცხი ცოტა გაუგებარია კიდეც. საბჭოთა ველოსიპედისტები მთელი წლის მანძილზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში სხვადასხვა ტურნირებზე პირველ ადგილებს იკავებდნენ, აი, სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაში — მსოფლიო ჩემპიონატში კი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდნენ.

ეს კიდევ არაფერი, ნახევარფინალში მოხდა ისეთი რამ, რაც მაღალი რანგის გუნდს არ ეპატიება. მეცხრე წრეზე ლიდერთა ცვლის დროს ჩვენი კვარტეტი ორ ნაწილად გაიყო: ვიაჩესლავ ეკიმოვი და ალექსანდრე კრასნოვი წინ გაიჭრნენ იმის იმედით, რომ სერგეი ხმელნინი და გინტაუტას უმარასი ადრე თუ გვიან დაეწეოდნენ. მაგრამ სულ მალე სხვაობა 10 მეტრამდე გაიზარდა, რაც ულაპარაკო დამარცხებას ნიშნავდა.

ასეთ სიტუაციაში გდრ-ის ველოსიპედისტებს ნახევარფინალში გამარჯვება არ გასჭირვებიათ. შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გფრ-ის გუნდს შეხვდა და გაიმარჯვა—4. 20,12.

ჩემპიონის სახელი კი ჩეხოსლოვაკიელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში გდრ-ის გუნდი დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში ჩეხებმა გამოდევნებით გუნდურ რბოლაში 4 კილომეტრზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 4.17,71.

პროგრამის მომდევნო სახეობა სატრეკო შეჯიბრებებში 50 კილომეტრზე ჯგუფური რბოლა იყო. ჩვენს ველოსიპედისტთაგან საუკეთესო შედეგი მარატ სატიბალდიევმა აჩვენა — IV ადგილი. მისი თანაგუნდელი მარატ განეევი კი VIII ადგილზე გავიდა. ჩემპიონი ამ სახეობაში დან ფროსტი (დანია) გახდა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები შესაბამისად ოლაფ ლუდვიგმა (გდრ) და ლეონარდ ნიტცმა (აშშ) დაისაკუთრეს.

ჩემპიონატის ბოლო დღეს მედლები ქალთა გამოდევნებით რბოლასა და ტანდემებით ასპარეზობაში გათამაშდა. ამ სახეობებში საბჭოთა კავშირს მონაწილენი არ გაგამოუყვანია. ქალთა გამოდევნებით რბოლაში ჩემპიონის სახელი ჟანი ლონგომ (საფრანგეთი) მოიპოვა, ტანდემებით ასპარეზობა კი ჩეხებმა ვიტესლავ ვორობილმა და რომან რეხოუნეკმა მოიგეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლონგომ ფინალურ რბოლაში მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა — 3.39,32.

აი, როგორ განაწილდა მედლები ქვეყნებს შორის:

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| გდრ | 3 | 3 | 2 | 8 |
| სსრ კავშირი | 1 | 2 | 1 | 4 |
| აშშ | — | 2 | 2 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | — | — | 2 |
| ავსტრალია | — | 1 | 1 | 2 |
| დანია | 1 | — | — | 1 |
| საფრანგეთი | 1 | — | — | 1 |
| შვეიცარია | — | — | 1 | 1 |
| იტალია | — | — | 1 | 1 |

შეგახსენებთ, რომ შარშან ბასანო-დელ-გრაპას მსოფლიო ჩემპიონატშიც საბჭოთა ველოსიპედისტებმა 4 მედალი მოიპოვეს (თითო — ოქროს და ვერცხლის, ორი — ბრინჯაოსი).

მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდება 7 სექტემბერს ქალთა და ვაჟთა საგზატკეცილო ჯგუფური რბოლით. 4 სექტემბერს კი მედლები საგზატკეცილო გუნდურ რბოლაში გათამაშდება.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 4 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მოსწავლე ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების („ტყავის ბურთი") ფინალური მატჩი — 17.50 (1); რიტმული ტანვარჯიში — 21.20.

5 სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა. ფინალური მატჩი მოტობოლში: რსფსრ — უკრაინა — 19.35 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 20.00 (1) და 0.55 (1); ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში. სსრ კავშირი — ჩინეთი — 21.15.

**საქართველოს ტელევიზია.** 4 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: მ. ჩიბურდანიძე — ე. ახმილოვსკაიას მატჩი — 23.55.

5 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — 20.00.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.



**საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საცხენოსნო სპორტული ბაზა**

**აცხადებს**

მოსწავლეთა მიღებას საცხენოსნო სპორტის კლასიკურ სახეობებში სამეცადინოდ.

მიიღებიან 1974-1978 წ. წ. დაბადებული გოგონები და ბიჭები.

მისამართი: ქ. თბილისი; ანა ანტონოვსკაიას ქ. № 10 (თბილისის სახელმწიფო იპოდრომი).

## ისევ სიურპრიზები

**ნიუ-იორკი.** ჩოგბურთში ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობა წლეულს ასმეხუთედ ტარდება. ამ მეტად საპრესტიჟო ასპარეზობაში, როგორც ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, 20 წლის მოსკოველმა ჩოგბურთელმა ანდრეი ჩესნოკოვმა მესამე წრეშიც წარმატებით ითამაშა — უაღრესად დაძაბულ, ხუთსეტიან ბრძოლაში სძლია შეჯიბრების ერთ-ერთ მასპინძელს მარსელ ფრიმენს — 1:6, 6:3, 4:6, 6:1, 6:3. ამ გამარჯვებამ ჩესნოკოვი მერვედფინალში გაიყვანა, სადაც მისი მეტოქე იყო აშშ-ის კიდევ ერთი წარმომადგენელი ტიმ უილკისონი (საინტერესოა, რომ მეთექვსმეტედფინალში უილკისონმა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი, ფრანგი იანიკ ნოა დაამარცხა — 7:6, 3:6, 4:6, 6:1, 6:4). ამერიკელი ჩოგბურთელის უპირატესობა ჩესნოკოვთან შეხვედრაში აშკარა იყო. უილკისონმა გაიმარჯვა — 6:0, 6:2, 6:3. ამ დამარცხების მიუხედავად, ჩესნოკოვის თამაშმა სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მოულოდნელად დამთავრდა ამ ტურნირის ხუთგზის ჩემპიონის ჯიმი კონორსის (აშშ) მერვედფინალური ორთაბრძოლა ნაკლებად ცნობილ თანამემამულე ტოდ უიტსკენთან. კონორსი დამარცხდა— 2:6, 4:6, 5:7. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა ბრედ გილბერტს (აშშ) აჯობა — 7:5, 6:1, 6:2 და მეოთხედფინალში გავიდა. ანრი ლეკონტმა (საფრანგეთი) მოუგო არონ კრიკსტინს (აშშ) — 6:3, 7:5, 6:4.

კიდევ ერთი სიურპრიზი მოხდა ქალთა ასპარეზობაში. 33 წლის ვეტერანმა, ავსტრალიელმა უენდი ტერნბულმა დაამარცხა აშშ-ის ღია პირველობის შარშანდელი ჩემპიონი ჰანა მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 6:4, 1:6, 6:3.

## გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩის ირგვლივ

# მიმომხილველები დავობენ, კამათობენ

**არც** ერთი მოჭადრაკე, თუნდაც უმაღლესი კლასისა, შეცდომისაგან დაზღვეული არ არის. ეს ყველამ კარგად იცის და მაინც... ყველა გაოცებული დარჩა, როცა კარპოვმა, რომელსაც მეშვიდე პარტიაში დიდი პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, გაუგებარი რამ გააკეთა — ბრძოლა იმ ფრთაზე გადაიტანა, სადაც არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა. მიმომხილველებმა ამ ფაქტს თავისებური ახსნა თუ ანალოგი მოუძებნეს. ცნობილმა ბულგარელმა ექსპერტმა დიმიტრ პროდანოვმა მსოფლიოს ექსჩემპიონი შეადარა... დიდ კართაგენელ სარდალ ჰანიბალს, კანესთან რომაელების სრული განადგურების შემდეგ რომზე შეტევის ნაცვლად ბრძოლა სამხრეთ იტალიაში რომ გადაიტანა. „პრეტენდენტი ცდილობდა ამ პარტიაში მეტოქე მარცხნივაც შეევიწროვებინა და მარჯვნივაც, მაგრამ ჭადრაკის მთავარი კანონი ასეთია: ითამაშე იმ ფრთაზე, სადაც ძლიერი ხარ, გახსენი ხაზები, გამოიყენე უპირატესობა".

აი, რა განუცხადა თვით კარპოვმა ამ პარტიის შესახებ თავის პრესატაშეს, ცნობილ იუგოსლაველ მიმომხილველს დიმიტრიე ბელიცას: „დიახ, ისეთი ხელსაყრელი პოზიცია მქონდა, რომ საქმის მოგებამდე მიყვანას დიდი სიბრძნე არ ესაჭიროებოდა. ძალზე საწყენია, ნახევარი ქულა ქარს გავატანე. ცაიტნოტში მხედველობიდან გამომრჩა სვლა, რომელმაც შავები გადაარჩინა".

აი, რა განაცხადა ამ პარტიის შესახებ განთქმულმა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა:

— ცხადია, კარპოვს მოსაგები პოზიცია ჰქონდა. ძნელია მოიგონო შემთხვევა, როცა მან ასეთი უპირატესობა გაუშვა ხელიდან, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ კარპოვის მეტოქე ამჯერად კასპაროვია. იგი ისეთ დაძაბულ პოზიციებს ქმნის, რომ ნებისმიერი შეცდომა გასაგები ხდება.

ჰოლანდიელი დიდოსტატი ჰანს რეე ასე ფიქრობს.

— დიახ, კარპოვი შეცდა მეშვიდე პარტიაში და ნახევარი ქულა დაკარგა, მაგრამ კასპაროვსაც ხომ დაახლოებით იგივე დაემართა მესამე პარტიაში, რომელიც უკანასკნელ მომენტამდე უბრწყინვალესად წარმართა. თუ ამ გარდაუვალ შეცდომებს არ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარე მეტად საფუძვლიანად არის მომზადებული და დიდებულადაც თამაშობს.

დიდი გამოხმაურება გამოიწვია მერვე პარტიამ, რომელიც, როგორც ცნობილია, კასპაროვმა მოიგო და დაწინაურდა.

დიდოსტატი ალექსეი სუეტინი: „ამ პარტიაში დებიუტის შემდეგ კასპაროვის უპირატესობა მეტად მცირე იყო. კარპოვი ბოლო პარტიებს ბრწყინვალედ ატარებდა და მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ მოფიქრებისთვის განკუთვნილ დროს გადააცილა..."

დიდოსტატი იან ტიმანი: „ეტყობა, კარპოვმა ვერ დაივიწყა შეცდომა, რომელიც წინა პარტიაში მოუვიდა. ათი წლის წინათ იგი მშვიდად დაიცავდა ამ პოზიციას, ახლა კი ბრძოლის მეხუთე საათისთვის უკვე აღარა აქვს უწინდელი კონცენტრაციის უნარი".

დიდოსტატი რაიმონდ კინი (ინგლისი): „ამ პარტიას რომ ვადევნებდი თვალს, დარწმუნებული ვიყავი, კასპაროვი გაიმარჯვებდა. იგი შესანიშნავად უტევდა. შეიძლება ითქვას, ეს იყო დინამიკური ჭადრაკის გამარჯვება. შავებმა დაკარგეს ტემპი, რამაც მსოფლიო ჩემპიონს საუკეთესო შესაძლებლობა შეუქმნა. უკვე მე-16 სვლისთვის კარპოვს წასაგები პოზიცია ჰქონდა, რაც ტელემაყურებლებს მაშინვე აუხსნა იან ტიმანმა".

საერთაშორისო ოსტატი მაქსიმ დლუგი (აშშ): „ზოგ პარტიაში კარპოვი ყრუ დაცვაზე გადადის. ეს იმას ნიშნავს, რომ მის თამაშში კრიზისის გარკვეული ელემენტები შეინიშნება. მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ შავებით ლაზიერის გამბიტის არჩევა კარპოვს კარგს არაფერს მოუტანს".

დიდოსტატი იოსებ დორფმანი: „მე კასპაროვის მოგებაში დარწმუნებული ვიყავი მაშინაც კი, როცა პრესცენტრში ზოგიერთი ექსპერტი მისი იერიშის განვითარების გზებს ვერ ხედავდა".

საერთაშორისო ოსტატი ევგენი ვლადიმიროვი: „ეს ის პოზიცია იყო, კასპაროვის საჭადრაკო ტემპერამენტს რომ შეესატყვისებოდა".

საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია მეთერთმეტე პარტიამ, სადაც ორივე მეტოქემ მართლაც უმაღლესი კლასის ხელოვნება გვიჩვენა.

საინტერესო განცხადება გააკეთა კარპოვის ექიმმა, პროფესორმა გერშანოვიჩმა:

— კარპოვი ფიზიკურად ძალიან კარგად გრძნობს თავს. მატჩის დაწყების შემდეგ ნახევარი კილოც მოიმატა. ადრინდელ მატჩებში კი როგორც კარპოვი, ისე კასპაროვი, ყოველთვის იკლებდნენ წონაში.

ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცხადებს ბავშვთა მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში. მიიღებიან ბავშვები 6-დან 12 წლის ასაკამდე. აბონემენტების გაგრძელება წარმოებს 6 სექტემბრის ჩათვლით. დარჩენილ ადგილებზე მიმართვები გაიცემა 8 სექტემბრიდან.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 99-80-19, 99-81-79; ჩვენი მისამართია: ლენინის პირველი შესახვევი № 34.

**ადმინისტრაცია.**

## „დინამო" იწვევს ბავშვებს

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან არსებული ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და ჭაბუკთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა აცხადებს 1975-1978 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას.

მიღება იწარმოებს სექტემბრის ყოველ კვირადღეს, დაწყებული 7 სექტემბრიდან, 9-დან 14 საათამდე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მინდორზე.

ბავშვებმა თან უნდა იქონიონ სპორტული ფორმა.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612